პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 254 (19096) კვირა, 4 ნოემბერი, 1984 წელი. ფასი 3 კაპ.

ხუთწლედი—წელი მეოთხე. დაიწყო ციტრუსების კრეფა

საქართველოში ციტრუსების შერჩევითი კრეფა პირველებმა დაიწყეს ზუგდიდის რაიონის მახინჯაურის საბჭოთა მეურნეობაში. მოწინავე მკრეფავები ა. ფუტკარაძე, ა. მგელაძე და სხვები ორმაგი გადაჭარბებით ასრულებენ მუშაობის დღიურ ნორმებს.

—მეციტრუსეებს იმედი აქვთ, რომ მოიწევენ უხვ მოსავალს — სამასი ათას ტონაზე მეტ ციტრუსოვანთა ნაყოფს, —უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს რესპუბლიკის ხილბოსტნეული მეურნეობის მინისტრის პირველმა მოადგილემ ნ. ქებაძემ. — ამ რაოდენობის მესამედზე მეტს მიიღებენ ქვეყნის მსხვილი სამრეწველო ცენტრების მცხოვრებნი.

იმისათვის, რომ ციტრუსების კრეფა შემჭიდროებულ ვადებში და უდანაკარგოდ დავამთავროთ, რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის ყველა ქვეგანაყოფისათვის შემუშავებულია მუშაობის ზუსტი პროგრამა. იგი ეხება კამპანიის ყველა მხარეს — კრეფას, პროდუქციის გადაზიდვასა და გადამუშავებას.

მეციტრუსეობა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ყველაზე მექანიზებული დარგია. მეურნეობებს აქვთ დიდძალი მანქანა-იარაღები, რომლებიც გარდა ნაყოფის კრეფისა, ყველა ოპერაციას ასრულებენ. უკანასკნელ წლებში ბევრმა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ მიიღო მონორელსიანი ტრანსპორტიორები, რომლებიც აიოლებენ ნაყოფის გადაზიდვას ძნელად მისადგომი მთის ნაკვეთებიდან. მეცნიერებმა გამოიყვანეს რამდენიმე პერსპექტიული ჯიშისა და ჰიბრიდის ფორთოხალი, ბაღების „საგზური" მიიღო უხვმოსავლიანმა ყინვაგამძლე ლიმონმა „დიოსკურიამ". (საქინფორმი).

საინფორმაციო ცნობა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

3 ნოემბერს გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XX პლენუმი. პლენუმზე მოწვეული იყვნენ საქართველოს კომპარტიის საქალაქო, რაიონული კომიტეტების პირველი მდივნები, პარტიის რაიკომების უფლების მქონე პარტკომების მდივნები, მინისტრები, სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები, რომლებიც არ შედიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის შემადგენლობაში, რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებათა თავმჯდომარენი, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის დარგის დიდ საწარმო-ორგანიზაციათა ხელმძღვანელები და პირველადი პარტორგანიზაციების მდივნები, მეცნიერები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლები.

პლენუმმა განიხილა რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებების, პლენუმზე ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს მიერ წარმოთქმულ სიტყვაში ჩამოყალიბებული დებულებებისა და დასკვნების შესაბამისად.

მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ.

კამათში მონაწილეობდნენ აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. ჯ. უბილავა, ზუგდიდის რაიონის ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორთა მერგოლეური, სოციალისტური შრომის გმირი ვ. ბ. მეუნარგია, საქართველოს კომპარტიის ცხინვალის რაიკომის პირველი მდივანი შ. ვ. ჯიოევი, რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, საქართველოს სსრ მინისტრი გ. ბ. მადელია, საქართველოს კომპარტიის წითელწყაროს რაიკომის პირველი მდივანი გ. ბ. ჟარაქაშვილი, აჭარის ასსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ს. დ. ინაიშვილი, საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ც. ე. მირცხულავა, დმანისის რაიონის დმანისის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ი. მ. მამედოვი, საქართველოს კომპარტიის ხონის რაიკომის პირველი მდივანი ნ. ო. ნადარაია, „საქმთავარწყალმშენის" უფროსი ა. ბ. მუსერიძე, გორის რაიონის ბერბუკის ხილბოსტნეულის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი ა. ზ. ლოლიკაშვილი, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ი. შჩერბაკოვი, საქართველოს კომპარტიის ლანჩხუთის რაიკომის პირველი მდივანი თ. ვ. ქუნჭულია, ბოლნისის რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარე ბ. ა. გელეური, საქართველოს კომპარტიის წყალტუბოს საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი გ. ს. აბზიანიძე, ახალქალაქის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის საწარმოო სამმართველოს უფროსი ხ. ქ. სტეფანიანი, გარდაბნის რაიონის ჯანდარის ჯომხანაშენე საბჭოთა მეურნეობის პარტკომის მდივანი მ. მ. მარსაგიშვილი, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რექტორი ო. ბ. ნათიშვილი.

პლენუმზე გამოვიდა სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე ფ. ა. ფოლად-ზადე.

სიტყვა პლენუმზე წარმოთქვა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ.

განხილულ საკითხზე მიღებულია შესაბამისი დადგენილება.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის განყოფილების სექტორის გამგე ნ. მ. ტიშჩენკო. (საქინფორმი).

პროფტექნიკურ სასწავლებელთა კეთილი შეფები

ПРАВДА

ახაა დასათაურებული გაზეთ „პრავდის" 3 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნებული მოწინავე სტატია, რომელიც შეეხება სასკოლო რეფორმასთან დაკავშირებით პროფტექნიკური განათლების დარგში მომხდარ მნიშვნელოვან ცვლილებებს, რაც უკვე საკმაოდ თვალსაჩინოდ გამოიკვეთა სასკოლო რეფორმის რეალიზაციის პირველსავე წელს მთელ რიგ სასწავლებლებში.

მოწინავეში ხაზგასმულია ის ფაქტი, რომ პარტიისა და მთავრობის მიერ დასახულ ცვლილებათა მეოხებით დიდად იზრდება კვალიფიციური კადრების მომზადების სახელმწიფო სისტემის ავტორიტეტი და დანიშნულება, მისი როლი ახალგაზრდობის საყოველთაო პროფესიულ სწავლა-განათლებაში. პარტიისა და საბჭოთა ორგანოების, საბაზო დაწესებულებების აქტიური მონაწილეობის შედეგად სექტემბრიდან ყველა მათგანი გარდაიქმნა საშუალო სასწავლებლად, რაც საშუალებას იძლევა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს მომავალი თაობის აღზრდისა და სწავლების საქმე.

დღეს პროფტექსკოლებს განსაკუთრებით მოეთხოვებათ, რომ მუშაობა მეცნიერულ საფუძვლებზე ააგონ.

დიდი წვლილი მიუძღვით მომავალი, ყოველმხრივ განვითარებული პიროვნების ჩამოყალიბებაში ომისა და შრომის ვეტერანთა საბჭოებს, კულტურულ დაწესებულებებს, შემოქმედ ინტელიგენციას, ამასთან დაკავშირებით „პრავდის" მოწინავეში დადებითადაა მოხსენიებული საქართველოს სს რესპუბლიკა, კერძოდ დასახელებულია პროფტექნიკური სასწავლებლების აღსაზრდელებისადმი საქართველოს მწერალთა კავშირის და მხატვართა კავშირის გამუდმებული ყურადღების მაგალითი, რაც ღირსეული წვლილია მუშათა კლასის საუკეთესო ტრადიციებზე ჩვენი მომავალი თაობის აღზრდის საქმეში.

საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებების, პლენუმზე ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს მიერ წარმოთქმულ სიტყვაში ჩამოყალიბებული დებულებებისა და დასკვნების შესაბამისად

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის მოხსენება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XX პლენუმზე 1984 წლის 3 ნოემბერს

ამხანაგებო!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის ოქტომბრის პლენუმზე, განსაზღვრა რა დიდი და დაძაბული მუშაობის მნიშვნელობა, რომელიც მოგვიწევს ქვეყნის სასურსათო ფონდის სტაბილური ზრდის მიზნით მელიორაციის გრძელვადიანი პროგრამის განხორციელებისათვის, მელიორირებული მიწების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლებისათვის, ამხანაგმა კ. უ. ჩერნენკომ განსაკუთრებით აღნიშნა, რომ **ამ საკითხს უშუალო დამოკიდებულება აქვს იმასთან, რაც წარმოადგენს სკკპ საქმიანობის უმაღლეს მიზანს — საბჭოთა ადამიანების ცხოვრების დონის განუხრელ ამაღლებასთან.** ამ მიმართულებით პარტიის მიერ დასახული ღონისძიებანი წინათ შემუშავებული სსრ კავშირის სასურსათო პროგრამის სოლიდური საყრდენი გახდა რა, მიზნად ისახავს იმას, რომ მეტი სიმყარე და ეგზმიანობა მივანიჭოთ მის რეალიზაციას, შევამციროთ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების დამოკიდებულება ბუნებრივ-კლიმატურ და ამინდის პირობებზე.

სტაბილურ სოფლის მეურნეობას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მთელი სახალხო მეურნეობის ნორმალური ფუნქციონირებისათვის, დინამიკური, პროპორციული განვითარებისათვის. ორი წინა წლის გამოცდილებით ჩვენ თვალ დავრწმუნდით, თუ რა ურიოზული შედეგები მოსდევს ჩავარდნებს ეკონომიკის აგრარულ სექტორში, როცა არახელსაყრელი ამინდის პირობების, სტიქიური უბედურებების შედეგად გამოწვეული მოსავლის დიდი დანაკარგების გამო მნიშვნელოვანი სიძნელეების წინაშე აღმოჩნდა მრეწველობაც, მთელი სახალხო-სამეურნეო კომპლექსი, გართულდა ხუთწლიანი გეგმის საკონტროლო დავალებათა უზრუნველყოფა. მოგეხსენებათ, წარმოშობილი დისპროპორციების დაძლევა მეტად ძვირად დაგვიჯდა.

ჩვენ, რა თქმა უნდა, არაფერს არ დავიშურებთ, როცა საქმე ეხება ისეთ რამეს, როგორიც არის მოსახლეობის სასურსათო პროდუქტებით უზრუნველყოფა. და აქვე ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ... [illegible]

I.

[illegible]

(გაგრძელება 2-ე გვ.)

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XX პლენუმი

(გაგრძელება)

პრინციპულად და მკაცრად უნდა ვადევნებდეთ თვალს, რომ სკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მითითებათა შესაბამისად, სარწყავ და დაშრობილ მიწებზე სრულად იგზავნებოდეს სასუქები, ტექნიკა, ნათესების დაცვის ქიმიური საშუალებანი, მთელი სხვა მატერიალურ-ტექნიკური რესურსები, მათ შორის — სისტემების ექსპლოატაციისათვის საჭირო. ამასთან ჩვენი აზრით, **მიზანშეწონილია აუცილებლად მელიორირებული მიწების უკუგებას განვიხილავდეთ სხვა უმნიშვნელოვანეს საგეგმო სასოფლო-სამეურნეო მაჩვენებლებთან ერთად.**

ასეთი მიდგომა საშუალებას მოგვცემს უკეთ წარვმართოთ სოფლის მშრომელების, აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის ორგანოების მუშაობა სარწყავი და დაშრობილი სისტემების მომზადებაში, სასოფლო-სამეურნეო კულტურების ხარისხოვანი რწყვის უზრუნველყოფაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებების დაძლევისათვის, ხელს შეუწყობს მეურნეობათა ხელმძღვანელების პასუხისმგებლობის გადიდებას, საექსპლოატაციო სამსახურების მუშაობის გაუმჯობესებას.

ამ უკანასკნელსაც არანაკლები მნიშვნელობა აქვს. წყალსამეურნეო რგოლები უნდა მოქმედებდნენ ეალრესად ზუსტად, იძლეოდნენ წყლით დროული უზრუნველყოფის გარანტიას. ზუსტად ისევე, როგორც რწყვა ვერ მოგვცემს მაღალ ეფექტს, თუ არ განმტკიცდა შესაბამისი აგროტექნიკით, ასევე **აგროტექნიკური ღონისძიებებიც ვერ მოგვიტანს დიდ უკუგებას მიწის ხარისხოვანი რწყვის გარეშე.** ეს არის პრობლემისადმი კომპლექსური მიდგომის არსი და იგი უნდა უზრუნველყოს მელიორირებული სავარგულების ექსპლოატაციასთან დაკავშირებულმა ყველა ორგანომ.

აქ დიდმნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს ამ დღეებში მიღებულმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებამ „კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში მელიორირებული მიწების მაღალეფექტიანი გამოყენების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ“, რომლის თანახმადაც განხორციელდება საპროექტო მოსავლის მიღწევისათვის მშენებლობის, ექსპლოატაციის, მელიორირებული მიწების ათვისებისა და გამოყენების მონაწილე ყველა ორგანიზაციის ურთიერთპასუხისმგებლობის ფორმა.

უწინარეს ყოვლისა, უნდა მივაღწიოთ, რომ მელიორაციისა და წყლით მეურნეობის რაიონული საწარმოო სამმართველოები ნამდვილად გახდეს **საწარმოო,** სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჰქონდეთ საჭირო მოცულობის მატერიალურ-ტექნიკური რესურსები, მექანიზმები და ეფექტიანად იყენებდნენ არსებულ ბაზას.

როგორი სურათია დღეისათვის? მეტი წილი რაიონული წყალსამეურნეო სამსახურების მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა არ შეესაბამება მათ წინაშე მდგომ ამოცანებს, დაკნინებულია მათი პასუხისმგებლობა. მაგალითად, არხების წმენდის, სარწყავი სისტემების, ჰიდროძალური მოწყობილობის შეკეთების სამუშაოები სრული მოცულობით და ხარისხიანად

II.

III.

(დასასრული 3-ე გვ.)

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XX პლენუმი

(დასასრული)

კოლექტივის მუშაობის ეფექტიანობის ამაღლების საკითხებს. და ამხანაგებს ამაში უნდა დავეხმაროთ.

და საერთოდ, **როცა მეცნიერებისაგან მოვითხოვთ მაღალხარისხოვან სამეცნიერო პროდუქციას, უფრო მზრუნველად უნდა მოვეკიდოთ მათ საჭიროებებსაც.** ჩვენში ბევრია მაგალითი, როცა უძლურსად ჭიანურდება სამეცნიერო ბაზების და საცდელი უბნების მშენებლობა, არის სიძნელეები აგროსამრეწველო კომპლექსის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფის საქმეშიც. რესპუბლიკის მთავრობამ მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს ამ საკითხებს.

თავის მხრივ მოველით, რომ რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემია, მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტი, სსრ კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიის განყოფილება ზუსტად განსაზღვრავენ თავიანთ ადგილს მელიორაციის განვითარებაში, კიდევ ერთხელ გადასინჯავენ სამეცნიერო დაწესებულებათა თემატიკას სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ახლანდელი პლენუმის შესაბამისად და შეადგენენ სამუშაოთა პერსპექტიულ გეგმას.

არ შეიძლება არ შევეხოთ **ეკოლოგიურ პრობლემებსაც**, რომლებსაც სერიოზული ყურადღება დაეთმო სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმზე. მაგალითად, არ შემიძლია არ შევეხო **სასოფლო-სამეურნეო სავარგულების რეკულტივაციას**,—არასასოფლო-სამეურნეო გამოყენებისათვის დროებით გასხვისებული მიწების სასოფლო-სამეურნეო ბრუნვაში მოქცევას.

მელიორაციის პირობებში ვიბრძვით, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, მიწის ყოველი მტკაველისათვის, ამ დროს კი რესპუბლიკაში სარეკულტივაციო სამუშაოები უკიდურესად ნელა და დაბალ დონეზე წარმოებს. საქართველოს მიწათმოწყობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტმა იმდენად უხარისხოდ ჩაატარა დარღვეული მიწების პასპორტიზაცია, რომ ...

ტაშს უკრავენ „ბორის გოდუნოვს"

მოსკოვში წარმატებით გრძელდება თბილისის ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის გასტროლები. ამჯერად მოსკოველებმა ნახეს მ. მუსორგსკის ოპერა „ბორის გოდუნოვი".

...ისევ ხალხით გაჭედილი დიდი თეატრის დარბაზი, სალაროებში არც ერთი ბილეთი... ბორისის — პაატა ბურჭულაძის პირველმავე გამოჩენამ მოხიბლა მაყურებელი. მეორე მოქმედების დამთავრებისას კი იარუსებიდან და პარტერიდან თაიგულებს ესროდნენ ქართველ მომღერალს.

ჩვენ გვერდით მოძმე ბულგარეთის წარმომადგენლები ისხდნენ. ერთ-ერთმა მათგანმა — მომღერალმა სოფი ნიკოლოვამ გვითხრა — რაც შეეხება სპექტაკლის რეჟისორულ და სცენოგრაფიულ მხარეს, ამის შესახებ პროფესიონალებმა ილაპარაკონ. მე მინდა გაგიზიაროთ აზრი პაატა ბურჭულაძის შესახებ. ასეთი დიდებული სცენური პლასტიკა, ადამიანური ვნებებისა და განცდის ასეთი გამოსახვა, ბორის გოდუნოვის სულიერი ტრაგედიის დიდ სიმაღლეზე აყვანა, იშვიათად მინახავს და მომისმენია. მეტსაც გეტყვით: ჩვენი ნიკოლოზ გიაუროვის შემდეგ ასეთ გოდუნოვს არ შევხვედრივარ...

სპექტაკლის შემდეგ ვესაუბრეთ ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორს, პროფესორ მ. საბინინას: ჯერ კიდევ ივნისში, — თქვა მან, — ვიყავი თბილისში, ვნახე მთელი საგასტროლო რეპერტუარი, და უკვე მაშინ იგრძნობოდა კოლექტივის მაღალი პროფესიული დონე და დახვეწილი მუსიკალური კულტურა, რაც, ამას მინდა განსაკუთრებით გავუსვა ხაზი, თქვენი თეატრის ახალი ხელმძღვანელობის თავდადებული შრომის შედეგია. მე მაშინვე აღვნიშნე, რომ „ბორის გოდუნოვის" რეჟისორული და განსაკუთრებით გაფორმების მხატვრული მხარე არ გვაკმაყოფილებდა. დღეს, როგორც გამოჩნდა სპექტაკლის მსვლელობის დროს, ამ მხრივ ბევრი რამ გაკეთებულა, მაგრამ ცალკეული ლაფსუსები მაინც იგრძნობა... ახლა შემსრულებლებზე: პაატა ბურჭულაძეს მშვენიერი ხმა აქვს, დიდებულად მიჰყავს მთელი სპექტაკლი, ამას ხელს უწყობს ბრწყინვალე რუსული დიქცია. იგი დიდი დიაპაზონის მომღერალია და გულით ვულოცავ წარმატებას. მომეწონა თამარ გურგენიძე და ალექსანდრე ხომერიკი. არ შემიძლია ქებით არ მოვიხსენიო ოპერის გუნდი.

სპექტაკლს ესწრებოდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ენუქიძე და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივი წარმომადგენელი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში თ. ჩაჩიძე.

დ. მაჭავარიანი,
„კომუნისტის" საკ. კორ.
ქ. მოსკოვი.

პარადის მონაწილეთა კრება

თბილისი. პარადი, რომელიც 7 ნოემბერს გაიმართება თბილისში, ამიერკავკასიელი მეომრების საბრძოლო გაწვრთნილობის დათვალიერება, სამშობლოს დასაცავად მათი მუდმივი მზადყოფნის დადასტურება გახდება. ეს აღინიშნა 3 ნოემბერს საქართველოს დედაქალაქში გამართულ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 67 წლისთავის აღსანიშნავი პარადის მონაწილეთა საზეიმო კრებაზე.

კრება გახსნა ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალმა, გენერალ-პოლკოვნიკმა ვ. მ. არხიპოვმა.

შეკრებილებმა ერთსულოვნად, დიდი აღფრთოვანებით აირჩიეს საპატიო პრეზიდიუმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კ. უ. ჩერნენკოს მეთაურობით.

მოხსენება გააკეთა ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრმა — პოლიტსამმართველოს უფროსმა, გენერალ-ლეიტენანტმა ვ. ლ. გულევიჩმა.

კრებაზე გამოვიდნენ კაპიტანი რ. ი. ვასილიევი, სერჟანტი ი. ა. იმატოვი, თბილისის 26 ბაქოელი კომისრის სახელობის წითელდროშოვანი, წითელი ვარსკვლავის ორდენოსანი მეთაურთა საარტილერიო უმაღლესი სასწავლებლის კურსანტი ს. ა. აუშჩენკო და სხვები. მათ თქვეს, რომ პარადზე ცხადყოფენ დიდ გაწვრთნილობას, დისციპლინასა და ორგანიზებულობას.

მეომრებს მიესალმა საბჭოთა კავშირის გმირი, თადარიგის პოლკოვნიკი, 1945 წელს წითელ მოედანზე გამართული გამარჯვების პარადის მონაწილე ვ. ი. კრამარენკო და კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი მ. ა. ჩაჩავა.

კრების მონაწილეებმა მიიღეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოსადმი.

კრების დამთავრების შემდეგ გაიმართა ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლის „პესნიარის" კონცერტი, რომელმაც წარმოადგინა დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 40 წლისთავისადმი მიძღვნილი პროგრამა.

(საქინფორმი)

საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიაში

3 ნოემბერს გაიმართა საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის სხდომა, რომელზეც გამოვიდა მისი თავმჯდომარე ი. გ. ხაზარაძე.

სხდომაზე დაამტკიცეს საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის მუშაობის 1985 წლის გეგმა, განიხილეს საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობისადმი კომისიის ანგარიშის მომზადების საკითხი.

ჭიათურის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს სესია

გაიმართა ჭიათურის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს სესია, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

სესიამ ამხ. ო. მ. გოგატიშვილი გაათავისუფლა ჭიათურის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

ჭიათურის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ არჩეულია ამხ. ჯ. ა. გურული, რომელიც საქართველოს კომპარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივნად მუშაობდა. (საქინფორმი).

ამბროლაურის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს სესია

გაიმართა ამბროლაურის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს სესია, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

სესიამ ამხ. ი. ს. დარახველიძე გაათავისუფლა ამბროლაურის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

ამბროლაურის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ არჩეულია ჰ. ა. სხიერელი, რომელიც საქართველოს კომპარტიის ამბროლაურის რაიკომის მდივნად მუშაობდა.

(საქინფორმი).

3 ნოემბერი

უცხოეთში

ფაქტები, მოვლენები. საქტაგი იუწყება

ნ. ა. ტიხონოვი შეხვდა რ. განდის

დელი. სსრ კავშირის მთავრობის დელეგაცია, რომელსაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ტიხონოვი მეთაურობს, შეხვდა ინდოეთის პრემიერ-მინისტრს რაჯივ განდის.

ნ. ა. ტიხონოვმა ინდოეთის მთავრობის მეთაურს გადასცა საბჭოთა ხელმძღვანელობის, პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კ. უ. ჩერნენკოს ღრმა თანაგრძნობა ინდოეთის გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწის ინდირა განდის ტრაგიკულ გარდაცვალებასთან დაკავშირებით.

საუბრის დროს, რომელმაც მეგობრობისა და ურთიერთგაგების ვითარებაში ჩაიარა, ხაზგასმით აღინიშნა, რომ საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ინდოეთთან მეგობრობისა და თანამშრომლობის ტრადიციული ურთიერთობის შემდგომ განმტკიცებას, რაც ორივე ქვეყნის ხალხების, მშვიდობისა და პროგრესის საქმის ხანგრძლივ ინტერესებს შეესაბამება. ნ. ა. ტიხონოვმა რ. განდის უსურვა წარმატებები ინდოეთის მთავრობის ხელმძღვანელის საპასუხისმგებლო პოსტზე.

რ. განდიმ დიდი მადლობა გადაიხადა თანაგრძნობისა და კეთილი სურვილებისათვის. მან აღნიშნა, რომ ინდოეთი დიდად აფასებს მეგობრულ ურთიერთობას, რომელიც მას საბჭოთა კავშირთან აქვს და რომელსაც ფართოდ უჭერენ მხარს ქვეყნის პოლიტიკური ძალები და მთელი ინდოელი ხალხი. ამის გათვალისწინებით, დიდი ყურადღება დაეთმობა საბჭოთა კავშირთან თანამშრომლობის შემდგომ გაღრმავებას ქვეყნის იმ დამოუკიდებელი და მშვიდობის საგარეო-პოლიტიკური კურსის შესაბამისად, რომელიც ჯ. ნერუსა და ი. განდის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა.

ვიზიტი დამთავრდა

ალჟირი. ალჟირიდან გამოემგზავრა სსრ კავშირის დელეგაცია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პ. გ. გილაშვილის მეთაურობით, რომელიც მონაწილეობას იღებდა ალჟირის რევოლუციის 30 წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმში.

ვიზიტის დროს ალჟირის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტთან, ეროვნული განთავისუფლების ფრონტის პარტიის გენერალურ მდივანთან შადლი ბენჯედიდთან შეხვედრისას სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურმა გადასცა მას სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისასალმებელი წერილი ალჟირის ეროვნულ დღესასწაულთან დაკავშირებით.

გაიმართა სსრ კავშირის დელეგაციის საუბარი ალჟირის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრ ა. ბრაჰიმისთან, აგრეთვე ეროვნული განთავისუფლების ფრონტის პარტიის ცენტრალური კომიტეტის მუდმივი სამდივნოს წევრთან, საგარეო ურთიერთობისათვის პასუხისმგებელ ა. ბუმაზასთან.

აეროდრომზე დელეგაცია გამოაცილეს ალჟირის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ენერგეტიკის, ქიმიური მრეწველობისა და ნავთობქიმიის მინისტრმა ბ. ნაბიმ და სხვა ოფიციალურმა პირებმა.

ნამდვილი ამბები

ალექსანდრე ქიქნაძე

თბილისის გარნიზონის უფროსის ბრძანება

1984 წლის 31 ოქტომბერი
ქ. თბილისი

№ 25

1984 წლის 7 ნოემბერს თბილისის გარნიზონის ჯარების პარადის შესახებ

§ 1

1984 წლის 7 ნოემბერს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 67 წლისთავის აღსანიშნავად 10.00 საათზე დანიშნულია თბილისის გარნიზონის ჯარების პარადი. პარადს მიიღებს ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი, გენერალ-პოლკოვნიკი ვ. მ. არხიპოვი.

პარადის მეთაურობა ნაბრძანები მაქვს მე.

§ 2

ნაწილების მეთაურებმა გამოგზავნონ მეხაზეები და გამოიყვანონ პარადზე ჯარები დამტკიცებული რაოდენობით და დადგენილ დროს.

ტანსაცმლის ფორმა — საზაფხულო, სამწყობრო საპარადო.

§ 3

სასალუტო-საარტილერიო ჯგუფის მეთაურმა პოდპოლკოვნიკმა ნ. ტ. ველიჩკომ მისცეს საარტილერიო სალუტი ჩემი მითითების შესაბამისად.

§ 4

გარნიზონის ჯარების დაწყობის და მათი ჩავლის დროს რესპუბლიკის მოედანზე წესრიგის დაცვის საერთო ხელმძღვანელობას ვავალებ თბილისის გარნიზონის სამხედრო კომენდანტს, პოდპოლკოვნიკ ა. ნ. ჩუტლაშვილს.

თბილისის გარნიზონის უფროსი — ამიერკავკასიის ჯარების სარდლის პირველი მოადგილე გენერალ-ლეიტენანტი მ. ტერეხოვი.

თბილისი—სამომავლო

(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ჭადრაკი

მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში

მოსკოვი

ყაიმი, მაგრამ როგორი!

— მბაშრ სექტემბერს ამ მატჩში მდორე (შედარებით, რა თქმა უნდა) ოქტომბერი მოჰყვა. როგორ ფიქრობთ, როგორი იქნება ნოემბერი? — ჰკითხა კორესპონდენტმა მსოფლიო ექსჩემპიონ მიხეილ ტალს.

— ჩემი წინათგრძნობით, ნოემბერი მეტად მძაფრი იქნება, — უპასუხა მიხეილ ტალმა.

ოცდამეერთე პარტია
კარპოვი — კასპაროვი
ლასკერის გამბიტი

ბ. გამრეკელი.

სატურნირო ორბიტა

მოსკოვი

ჩვენს ტელეეკრანებზე

თბილისი

თეატრი

რედაქტორი გ. ბარნაბიშვილი.